

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაარსებიდან 11 წლის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის სხვა სივრცეში - ინტერნეტში გადაინაცვლებდა და უჩვეულო, ონლაინ რეჟიმში შევხვდებოდით ერთმანეთს, რომ დისტანციურად ვნახავდით, რაც 2020 წელს შექმნა ქართულმა თეატრმა.

პანდემიამ სამყარო მოულოდნელად შეაფერხა. შესაბამისად, თეატრმაც, მთელ მსოფლიოში, მაცურებელთან ცოცხალი კონტაქტი დროებით შეწყვიტა. გამონაკლისი არც ქართული თეატრი აღმოჩნდა. თუმცა თეატრებს მუშაობა არ შეუჩერებიათ და პანდემიის დასრულების მოლოდინში, რამდენიმე ექსპერიმენტულ განხორციელებას.

Georgian ShowCase 2020 - ალბათ ყველაზე ორიგინალური და უცნაური იქნება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ისტორიაში, რადგან ის კარგად გამოხატავს არა მარტო ქართულ თეატრს, მის მდგომარეობასა თუ სულისკვეთებას, არამედ, ირიბად მაინც, ირეკლავს სამყაროს პანდემიის ეპოქაში.

სპექტაკლების დიდი ნაწილიც სწორედ თითქმის თვითიზოლაციის პირობებში და არტისტებისთვის აქამდე წარმოუდგენელი რეგულაციების გათვალისწინებით დაიდგა.

„ქართული სპექტაკლების პროგრამა 2020“ - აერთიანებს თბილისისა და რეგიონების, სახელმწიფო და დამოუკიდებელი თეატრალური კომპანიების ნაწარმოებებს, რომლებიც თანამედროვე ქართულ და უცხოურ თუ კლასიკურ დრამატურგიაზე დაყრდნობით შეიქმნა.

თუმცა პროგრამაში უახლესი ქართული პიესები ჭარბობს: ალექსი ჩილვინაძის „უხერხემლო“ (რეჟისორი დავით თურქიაშვილი, ზუგდიდის დრამატული თეატრი) ტრანსგენდერი ქალის გარდაცვალების შემდგომ დრამატულ ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც მშობლების ოჯახში ვითარდება. ხოლო ამავე ავტორის „ხედი სასტუმრო საქართველოდან“, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი პროექტი, რეჟისორმა ვანო ხუციშვილმა განახორციელა, იმ, დღემდე მოუშუშებელ ჭრილობას ეხება, რომელმაც XX საუკუნის 90-იან წლებში იჩინა თავი და დღემდე მოუგვარებელია. სპექტაკლის გმირები, საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილებად ქცეულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი, იმ ტკივილზე გვიყვებიან, რომელიც ომმა მოუტანა (მონაწილეთაგან რამდენიმე უსინათლო არაპროფესიონალია, რომლებიც განსაკუთრებული არტისტული გულწრფელობით გამოირჩევიან).

„მედეა s01e06“ (პიესის ავტორი და რეჟისორი პაატა ციკოლია) ასევე დამოუკიდებელი, რეგიონული თეატრების ქსელის, პროექტია, რომელიც შავი ზღვის ნაპირზე თამაშდება და ცნობილ მითს კოლხი მედეას შესახებ თავდაყირა აყენებს. წარმოდგენაში ერთმანეთს სამი თაობის პროფესიონალი მსახიობები (გია ბურჯანაძე,

ეკა დემეტრაძე, სანდრო სამხარაძე) ხვდებიან, რომელთა ანსამბლურობა და პროფესიული ოსტატობა სპექტაკლის მნიშვნელოვან ნამუშევრად აქცევს.

ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლი „2030, დასაკარგი არაფერი გვაქვს“ (თავისუფალი თეატრი) სიუჟეტი მომავალში, 10 წლის შემდეგ მიმდინარეობს. რეჟისორი, ისტორიული გამოცდილებითა და ინტუიციით, ცდილობს განჭვრიტოს მომავალი, რომელშიც საქართველოსა და მის მოსახლეობას მოუწევს ცხოვრება.

ამავე რეჟისორის ერთმოქმედებიანი კომედია „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“, რომელიც თელავის დრამატულ თეატრში დაიდგა, რეალური და ირეალური სამყაროების მიჯნაზე, სევდიან ისტორიებს მოგვითხრობს, იუმორის თანხლებით.

თანამედროვე ირლანდიელ-კანადელ მწერალ ემა დონაჰიუს რომანს „ოთახი“ ეფუძნება ავთანდილ დიასამიძის სპექტაკლი, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა ფოთის დრამატულ თეატრში დადგა, ლენი აბრაჰამსონის ფილმის სცენარის მიხედვით და რომელიც გლობალურ პრობლემებს ეხმიანება. მოულოდნელი ფინალით კი რეჟისორი ისტორიის თავისებურ ვერსიას გვთავაზობს.

ჟან-პოლ სარტრის No Exit (რეჟისორი გიორგი ჩალაძე) და დავით კლდიაშვილის „უბედურება“ (რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი) თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრისა და პანდემიის პერიოდში დაარსებული ციფრული ფესტივალის Mooz-Art Festival ერთობლივი პროდუქტია. ორივე წარმოდგენა შორდება სათეატრო სივრცეს და ალტერნატიულ სიბრტყეზე ინაცვლებს, რამაც შემოქმედებითი ჯგუფები არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა.

მოძრაობის თეატრის სპექტაკლი „ლიზას ტორტი“ ამ თეატრის ისტორიაში პირველი ვერბალური სპექტაკლია (რეჟისორი იოსებ ბაკურაძე), რომელიც მაღალსართულიანი კორპუსის სახურავზე თამაშდება. რეჟისორმა შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, წინ ის პრობლემები წამოსწია, რომლებიც პანდემიამდეც არსებობდა საზოგადოებაში - გულგრილობა, ძალაუფლებისკენ სწრაფვა და მისი შენარჩუნება.

2020 წლის ქართული სპექტაკლების პროგრამა - პრემიერებსაც გვთავაზობს, რომლებსაც პირველად სწორედ ფესტივალის მსვლელობისას ვნახავთ.

ლაშა ჩხარტიშვილი  
თეატრის მკვლევარი, კრიტიკოსი